ნანა ზაზაძე ასოცირებული პროფესორი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: nana.zazadze@ciu.edu.ge

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის ცალკეული ასპექტები საქართველოში

შესავალი. საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პროცესმა, რომელსაც გასული საუკუნის 90-იანი წლებდან ჩაეყარა საფუძველი, განაპირობეს ქვეყნის ეკონომიკაში არსებითი ხასიათის სტრუქტურული ცვლილებები, რომელსაც თან სდევდა წარმოების დონის შემცირება, მომუშავეთა გამოთავისუფლების მასშტაბების ზრდა, რამაც სერიოზული პრობლემები წარმოშვა მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის სფეროში. ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თავისი საგანმანათლებლო და პროფესიულ-კვალიფიციური პოტენციალის რეალიზაციის შეუძლობლობის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყნის საზღვრები. აღნიშნულმა გარემოებამ, ასევე გამწვავებულმა სოციალურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოში, როგორც შიგა, ასევე გარე მიგრაციის მასშტაბები და ინტენსივობა. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნიდან ემიგრირებული მოსახლეობის რაოდენობა, რომელთა შორის დიდია მაღალი პროფესიულ-კვალიფიციური მომზადების მქონე შრომითი ასაკის პირთა ხვედრითი წილი. დინამიკაში ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

სამუშაო ძალის გარე მიგრაციის განვითარების არსებულმა ტენდენციებმა არსებითი გავლენა იქონია ქვეყნის შრომის ბაზარზე, კერძოდ სამუშაო ძალის მიწოდებაზე, დასაქმებისა და უმუშევრობის დონესა და დინამიკაზე. მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყნის შრომის ბაზარზე კვალიფიციური ადამიანური რესურსების მიწოდება, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონეზე და შესაბამისად, დასაქმების მაჩვენებლებზე.

ძირითადი ნაწილი. მსოფლიოში ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მიგრაციული ნაკადების ინტენსიობა, რამაც გარკვეული პრობლემები შექმნა, როგორც მიგრანტების იმპორტიორ, ასევე მიგრანტების ექსპორტიორ ქვეყნებში. აქვე, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგები, მიგრანტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა, მიმართულებები და მასშტაბები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ქვეყნების მიხედვით, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე **(თორია, 2008: 34).**

საქართველოში 1990-2018 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა 1694.8 ათასი კაცით ანუ 31.2%-ით შემცირდა. მოსახლეობის რიცხოვნობის კლების მაჩვენებელი განსაკუთებით მაღალი იყო 1992–2002 წლებში, როცა ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა მილიონზე მეტი კაცით შემცირდა. კერძოდ, „საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის კონტროლის დეპარტამენტის მასალებზე დაყრდნობით, 2001 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოს გარე მიგრაციის შედეგად 995 ათასი კაცი დააკლდა. აქედან, რუსეთში წავიდა 670 ათასი, უკრაინაში – 40 ათასი, სხვა პოსტსაბჭოურ სივრცეში კი გადანაწილდა 50 ათასი კაცი; საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში – 235 ათასი კაცი, აქედან: საბერძნეთში – 100, გერმანიაში – 30, ჰოლანდიაში– 30, თურქეთში – 20, აშშ-ში– 15 ათასი კაცი. სხვა მონაცემებით, საქართველოდან გასულთა რიცხვი დაახლოებით 1,5 მლნ აღწევს. ამათგან უმრავლესობა (2/3) შრომითი მიგრანტია“ **(ზაზაძე, 2014: 184).**

მოვლენების ამგვარ განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა მიგრაციულმა პროცესებმა იქონია, რაც განპირობებული იყო იმ პერიოდისათვის ქვეყანაში განვითარებული საყოველთაო-ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური კრიზისით, რამაც ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე დამანგრეველი გავლენა იქონია.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებში, ქვეყანაში ძირეული ხასიათის ცვლილებებმა, რადიკალურმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა რეფორმებმა, რომელსაც თან სდევდა ეკონომიკაში კრიზისული სიტუაციის განვითარება, დასაქმების დონის მკვეთრი შემცირება, განაპირობა ქვეყნის მოსახლეობის ინტენსიური გადინება და ეს პროცესი დღემდე ინტენსიურად გრძელდება.

საქართველოსათვის, როგორც უპირატესად ადამიანური რესურსების ექსპორტიორი ქვეყნისთვის, ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის შედეგები არაერთგვაროვანია. კერძოდ: ერთის მხრივ, ადგილი აქვს ქვეყნიდან ძირითადად ახალგაზდული ასაკის შრომისუნარიანი პირების გადინებას, რაც უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, აჩქარებს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესს. მეორეს მხრივ, ქვეყნიდან წასულთა შორის მაღალია კვალიფიციური, მაღალი პროფესიული განათლების მქონე კადრების წილი, რაც ასევე უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების ხარისხობრივ პარამეტრებზე.

მიუხედავად ამისა, ადამიანური რესურსების მიგრაცია მის ექსპორტიორ ქვეყანაზე არაერთგვაროვან გავლენას ახდენს. კერძოდ, მას გარკვეული დადებითი შედეგებიც გააჩნია. ამ თვალსაზრისით საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია უცხოეთში მიგრირებული მოქალაქეების მიერ პირდაპირი ფულადი გზავნილები, რაც დღემდე ათასობით ოჯახისთვის არსებობის ერთადერთი წყაროა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, 2018 წელს საქართველოში ფულადი გზავნილების სახით 1.57 მლრდ. დოლარი შემოვიდა, რომლის 28.9% მოდის რუსეთზე. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ფულადი გზავნილების მოცულობის მიხედვით ოთხეულში შედიან ასეევე იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი და გერმანია. მთლიანობაში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობის მიხედვით ლიდერ ქვეყნებს წარმოადგენენ რუსეთი (457 მლნ. დოლარი), იტალია (191 მლნ. დოლარი), საბერძნეთი (170 მლნ. დოლარი), აშშ-ი (159 მლნ. დოლარი), ისრაელი (151 მლნ. დოლარი) [**ttps://www.nbg.gov.ge/index.php?m=306**].

აღნიშნულთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ საქართველოდან ემიგრირებული სამუშაო ძალის უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით გასული საუკუნის 90-იან წლეებში, ძირითადად რუსეთისკენ მიემართებოდა, რაზეც მრავალი ფაქტორი ახდენდა გავლენას. მათ შორის ეკონომიკური ფაქტორი უკანასკნელ როლს ნამდვილად არ ასრულებდა. თუმცა, ისინი მოქმედებენ კულტურული, პოლიტიკური და გეოგრაფიული ფაქტორების სიღრმეში და მხოლოდ მათი ურთიერთკავშირის სწორად გაგების საფუ-ძველზეა შესაძლებელი წარმოვიდგინოთ იმ გარემოებათა რთული კომპლექსი, რომლებიც

გავლენას ახდენდნენ საქართველოდან სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის მიმარუ-ლებებზე, იქნება ეს ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული კულტურული ურთიერთობები, ენობრივი ბარიერის არ არსებობა თუ გეოგრაფიული სიახლოვე და ა.შ. შედეგად მივიღეთ ის, რომ საქართველოდან ემიგრირებული სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამადაც რუსეთზე მოდის. თუმცა ამ ქვეყანასთან პოლიტიკური ურთიერთობების გაუარესების პირობებში, ბოლო წლებში საქართველოდან რუსეთში ემიგრირებული სამუშაო ძალის რიცხოვნობა თანდათან შემცირდა. საქართველოდან წასული მიგრაციული ნაკადების მიმართულების ცვლილებაზე გავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებამ მსოფლიოში მიგრაციული მიზიდვის ისეთ ცენტრებთან, როგორიცაა აშშ-ი და დასავლეთ ევროპა.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების უმთავრეს წყაროს საქართველოდან უცხოეთში ემიგრირებული მოსახლეობის მიერ გამოგზავნილი თანხები შეადგენს. აქედან გამომდინარე, სრულებით გასაგებია, თუ რატომ ლიდერობს რუსეთი იმ ქვეყნების ათეულს, საიდანაც ფულადი გზავნილების გადმორიცხვა ხორციელდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფულადი გზავნილები ერთადერთი სარგებელი არ არის, რასაც ადამიანური რესურსების ექსპორტიორი ქვეყნები ღებულობენ. კერძოდ, ადამიანური რესურსების ემიგრაცია ასუსტებს დაძაბულობას შრომის ბაზარზე, ამცირებს უმუშევრობას. მეორე მხრივ, ემიგრანტები უცხოეთში ღებულობენ გამოცდილებას, იმაღლებენ კვალიფიკაციას და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხელს უწყობენ ქვეყანაში ეკონომიკური აქტიურობის დონის ამაღლებას.

ბოლო პერიოდში საქართველოში ადგილი აქვს ადამიანური რესურსების ემიგრა-ციის არა მარტო მაღალ მაჩვენებლებს, არამედ შეიმჩნევა უცხოელი მიგრანტების შემო-დინების მასშტაბების ზრდა. ასე მაგალითად, 2002-2017 წლებში საქართველოში შემოსული მიგრანტების რაოდენობა 1.75-ჯერ გაიზარდა, მიუხედავად ამისა გარე მიგრაციული სალდო ქვეყანაში კვლავ უარყოფითი რჩება. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქვეყანაში შემოსულ მოგრანტებს შორის შრომითი ასაკის პირთა ხვედრითი წილი 85%-ს,

ხოლო ქვეყნიდან გასულთა შორის შრომითი ასაკის პირთა ხვედრითი წილი 87%-ს შეადგენს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ წასულთა შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან 20-34 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოქალაქეები.

2014 წელს საქართველოში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. აღწერის შედეგების მიხედვით ემიგრანტთა რაოდენობა 88,5 ათასს კაცს ითვლის, აქედან 54,6 % - ქალია, 45,4% კი მამაკაცი. ემიგრანტების 75,1 % არის 20-დან 54 წლამდე ასაკის მოსახლეობა. 39 წლამდე ასაკის ემიგრანტებში მამაკაცები ჭარბობენ ქალებს, ხოლო 40 წლის და უფროსი ასაკის ემიგრანტებში კი პირიქით, ქალი ემიგრანტების რაოდენობა აღემატება მამაკაცი ემიგრანტების რაოდენობას. 50 წლის ზემოთ ემიგრანტი ქალები 2-ჯერ მეტია შესაბამისი ასაკის ემიგრანტ მამაკაცთა რაოდენობაზე. აღწერის შედეგებით ემიგრანტების რაოდენობით პირველ ადგილზეა რუსეთის ფედერაციაა-21,7%, შემდეგ საბერძნეთი-15,9% და თურქეთი 11,2%. რუსეთის ფედერაციაში, საფრანგეთში, უკრაინაში და აზერბაიჯანში ემიგრანტთა უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ, ხოლო საბერძნეთში, თურქეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში და აშშ-ში ემიგრანტი ქალები. [http://migration.commission.ge/files/census_release_geo_2016.pdf]

ამგვარად, საქართველოში გარე მიგრაციის არსებული მასშტაბები, მიმართულებები, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგები მოითხოვენ ამ პროცესის სიღრმისეულ შესწავლას, არსებული ტენდენციების ანალიზასა და მათზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენას, რაც უნდა დაედოს საფუძვლად ქვეყანაში ოპტიმალური მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებასა და მის რეალურ გატარებას.

სწორედ ამან განაპირობა ქვეყანაში 2013–2015 წლების მიგრაციის სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა, სადაც ნათქვამია, რომ მიგრაცია წარმოადგენს გლობალურ ფენომენსა და თანამედროვეობის გამოწვევას, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და, ასევე, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, მიგრაციული პროცესების მართვა არის ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი. http://www.carim-east.eu/.

ცხადია, მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაცია და შრომის საერთაშორისო დანაწილება გულისხმობს სამუშაო ძალის მობილურობის გაზრდას და ეს პროცესი ობიექტური ხასიათისაა. საქართველო ვერ იქნება იზოლირებული ამ პროცესებიდან და ეს არცაა გამართლებული. საუბარია მხოლოდ მიგრაციული პროცესების რეგულირების საჭიროებასა და მისი ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობაზე **http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=682.**

დასკვნა. გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებულმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა ქვეყანაში ძირეული ცვლილებები გამოიწვიეს საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა მიმართულებით. მათ შორის განსაკუთრებით მწვავედ განვითარდა პროცესების ადამიანური რესურსების გამოყენების, მათი დასაქმების და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში. ეკონომიკურმა კრიზისმა, წარმოების დაცემამ და დასაქმების შეზღუდულმა შესაძლებლობებმა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა უცხოეთი ეძება საკუთარი პროფესიულ-კვალიფიციური პოტენციალის რეალი-ზაციის შესაძლებობები, მოსახლეობის მიგრაციამ ინტენსიური ხასიათი შეიძინა და ეს პროცესი გრძელდება დღემდე.

მოსახლეობის გარე მიგრაციული ნაკადების ზრდამ ხელი შეუწყო უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდას, რომელიც ათასობით ოჯახისათვის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროდ იქცა.

მოსახლეობის გარე მიგრაციაში განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდული ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი, რაც დამატებით პრობლემებს ქმნის ქვეყანაში მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებისა და ბუნებრივი მატების კუთხით.

ბოლო წლეებში იცვლება საქართველოდან წასული მიგრაციული ნაკადების მიმართულებები, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ჩვენი ქვეყნის კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებამ მსოფლიოში მიგრაციული მიზიდვის ისეთ ცენტრებთან, როგორიცაა აშშ და დასავლეთ ევროპა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზაზაძე ნ., 2014. საერთაშორისო შრომის ბაზრის ფორმირება გლობალიზაციის პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაცია და სტატისტიკა". თსუ. შრომების კრებული. გვ. 184.

2. თორია მ., 2007. შრომის საერთაშორისო ბაზარი და მისი გავლენა სამუშაო ძალის მიგრაციაზე, ჟ. სოციალური ეკონომიკა, # 3

3. თორია მ., 2008. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის რეგულირება ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი", # 6

4. ჭელიძე ნ., ტუხაშვილი მ. 2003, საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ფაქტორები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში. თსუ, თბილისი

5. http://migration.commission.ge/files/census_release_geo_2016.pdf.

6. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306.

8. http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_2017_a4_new_1.pdf

9. http://www.carim-east.eu/.

10. http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=682.

Nana Zazadze - Associated Professor

Caucasus International University

e-mail: nana.zazadze@ciu.edu.ge

Individual Aspects of the International Migration of Labor Force in Georgia

An abstract

International migration of the labor force is an inseparable part of the international economy internalization. Labor potential, the crucial factor for production both at a national and international level, seeks the place and means where the working force will be used more efficiently.

Labor migration is the complex phenomenon of the public life reflecting different parts of the social, political and economic development of the country and regions. Study of the migration flows is still important because it is closely linked to the different parts of the public life; it has

multifaceted and important outcomes. Therefore, in order to understand its nature thoroughly, it is necessary to learn the factors leading to migration, its directions, frequency, etc.

Key words: Labor force, international migration, labor market, demographic development, employment of the population